ევროკავშირი საქართველოსთვის

# აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამა

## საინფორმაციო ბიულეტენი N39

**ოქტომბერი, 2023**

## აჭარის გზა მდგრადი და თანამედროვე კომუნალური სერვისებისკენ

აჭარის წყლისა და წყალარინების ინფრასტრუქტურის დიდი ნაწილი საბჭოთა ეპოქაში შეიქმნა. წყალმომარაგების ქსელის ნაწილი, ნახევარ საუკუნეზე დიდი ხნისაა, რაც ხშირი დაზიანებების მიზეზი ხდება. ასევე, დაუმუშავებელი წყლის საშუალოდ ნახევარზე მეტი გაუონვის გამო იკარგება. უფრო მეტიც, სოფლად თითქმის არ არსებობს ცენტრალიზებული წყალმომარაგების სისტემა. აღნიშნული მდგომარეობის გათვალისწინებით, აუცილებელია მნიშვნელოვანი ინვესტიციის განხორციელება აჭარის წყალმომარაგების სისტემაში.

საბჭოთა პერიოდის შემდეგ, სისტემების მოვლა-პატრონობას სოფლის მოსახლეობა ახორციელებდა, მოგვიანებით კი მათ დახმარება მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულმა ერთეულებმა გაუწია. მოსახლეობის და მუნიციპალიტეტების ერთობლივი მცდელობების შედეგად, სისტემები განაგრძობენ ფუნქციონირებას, თუმცა აშკარაა, რომ უსაფრთხო და დაცული წყალმომარაგების უზრუნველსაყოფად საჭიროა საფუძვლიანი სარეაბილიტაციო სამუშაოები.

გამოწვევები მხოლოდ მოძველებული ინფრასტრუქტურით არ შემოიფარგლება. გაჩნდა ახალი გამოწვევები, როგორიცაა წყლის უსაფრთხოება და სისტემების ოპტიმიზაციის აუცილებლობა კლიმატთან დაკავშირებული საკითხების საპირწონედ. ასევე, წყლის დეფიციტის გათვალისწინება და ინოვაციური და ადაპტირებული თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა მომსახურების ხარისხისა და ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად.

მოძველებული ინფრასტრუქტურის შედეგად წარმოქმნილი ხარვეზების გარდა, არსებობს სისტემების მოდერნიზაციის, ინვესტიციების და ღონისძიებების განხორციელების აუცილებლობის სხვა ფაქტორებიც. მნიშვნელოვანია, რომ წყლის და ჩამდინარე წყლების მართვა, შეესაბამებოდეს ევროკავშირის დირექტივებს და სტანდარტებს.

წყალმომარაგებისა და წყალარინების ინფრასტრუქტურაში მნიშვნელოვანი ცვლილებების განხორციელების მიზნით, შეიქმნა აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამა.

პროგრამის ფარგლებში, მნიშვნელოვანი ფინანსური რესურსებია გამოყოფილი წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების მოდერნიზაციისა და ახალი მშენებლობის მიზნით.

პროგრამის ფარგლებში, აჭარის  ნახევრად ურბანული 5 მუნიციპალიტეტის ცენტრი და 39 სოფელი აღჭურვილი იქნება მაღალი ხარისხის წყალმომარაგებითა და წყალარინების მომსახურებით, რაც დააკმაყოფილებს ამ თემებში გრძელვადიან საჭიროებებს.



**ინფორმაცია პროგრამის შესახებ**

აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამა თანადაფინანსებულია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მიერ, KfW ბანკის მეშვეობით და ევროკავშირის მიერ.
პროგრამა მიზნად ისახავს აჭარის ყველა მუნიციპალიტეტში შეიქმნას თანამედროვე სტანდარტების წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემები.
აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამას სს „აჭარის წყლის ალიანსი“ ახორციელებს.
პროგრამა მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს სოფლის მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის, ზოგადი ჰიგიენისა და ჯანმრთელობის გაუმჯობესებაში. პროგრამა უზრუნველყოფს გარემოს დაცვას ჩამდინარე წყლებით დაბინძურების თავიდან არიდების გზით. ასევე, თავიდან იქნება არიდებული ნიადაგისა და წყლის რესურსების დაბინძურება გაუწმენდავი ჩამდინარე წყლების ჩაშვებით.
აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამა, თვისებრივად პირველია საქართველოში რომელიც წყლისა და წყალარინების ინფრასტრუქტურის განვითარების ორგანიზებას ახდენს რეგიონის სოფლებში.

ეს საინფორმაციო ბიულეტენი შექმნილია ევროკავშირის და გერმანიის რეკონსტრუქციის ბანკის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია სს “აჭარის წყლის ალიანსი” და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის და გერმანიის რეკონსტრუქციის ბანკის შეხედულებებს.

კ. გამსახურდიას ქ. N1, ბათუმი, საქართველო
+995 422 27 86 86
info@awa.ge
www.awa.ge

# AJARA RURAL WATER AND WASTEWATER PROGRAMME

## NEWSLETTER N39

**October, 2023**

## Ajara's Path to Sustainable and Modern Utility Services

Much of Ajara's water and wastewater infrastructure dates to the Soviet era. Some of the water supply networks have exceeded their 50-year lifespan, resulting in frequent breakages. On average, more than half of the untreated water is lost due to leakages. Moreover, in rural areas hardly any centralized water supply system exists at all. This situation has given rise to an urgent need for investment in the Ajara water system.

Following the Soviet era, the responsibility for maintaining the system fell upon local villages, and later, the municipality administration provided support. While these efforts have kept the systems running, it's evident that a fundamental overhaul is essential to ensure a safe and reliable water supply.

However, the challenges don't stop with aging infrastructure. Newer issues have emerged, including concerns about water safety, the necessity to fortify the system against climate-related challenges, addressing water scarcity, and integrating innovative and tailored modern technology to enhance service quality and affordability.

In addition to dealing with the backlog of aging infrastructure, there's a pressing need for investment and action due to several factors. This includes adhering to European Union directives and standards concerning water and wastewater management.

Recognizing the importance for change in water and wastewater infrastructure, the Ajara Water and Wastewater Treatment Program is set to tackle these issues. Substantial financial resources, will be dedicated to upgrading and new construction of water and wastewater systems. These investments and improvements are poised to facilitate the achievement of a multitude of objectives.

Under the Program, 5 semi urban municipality centers and 39 rural villages in Ajara will be equipped with high-quality water and wastewater services, addressing a long-standing need in these communities.






### GENERAL INFORMATION ABOUT THE PROGRAMME

"Rural Water Supply and Wastewater Programme-Ajara" is co-financed by the German Federal Republic Government through the KfW Development Bank and by the European Union.
The Programme aims to create modern standard water supply and wastewater treatment systems in all municipalities of Ajara.
"Rural Water Supply and Wastewater Programme-Ajara" is being implemented by the JSC "Ajara Water Alliance".
The mentioned Programme will have an essential contribution to the improvement of the level of life, health and the hygiene in general for the citizens of the villages in Ajara as the Programme will keep the environment safe through avoiding contamination and pollution of the environment and water bodies by directly discharged effluent.
The content of the Programme "Rural Water Supply and Wastewater Programme-Ajara" is unique in Georgia with its potential to influence the water supply and wastewater infrastructure development in the villages of the region.

This newsletter has been produced with the assistance of the European Union and KfW Development Bank. Its contents are the sole responsibility of Ajara Water Alliance JSC and do not necessarily reflect the views of the European Union and KfW Development Bank.

1, K. Gamsakhurdia str., Batumi, Georgia
+995 422 27 86 86
info@awa.ge
www.awa.ge